განმარტებითი ბარათი

„ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

ბოლო წლების განმავლობაში საქართველომ შექმნა სათამაშო ინდუსტრიის ზედამხედველობის ძლიერი მარეგულირებელი და ტექნიკური ინფრასტრუქტურა. სსიპ - შემოსავლების სამსახურის მიერ სათამაშო ბიზნესის კონტროლის ელექტრონული სისტემის დანერგვისა და ოპერირების მიზნით შერჩეული პირის მიერ ოპერირებადი ცენტრალიზებული მონიტორინგის სისტემების დანერგვამ, სსიპ - შემოსავლების სამსახურის ზედამხედველობასთან ერთად, მნიშვნელოვნად გაზარდა გამჭვირვალობა, სანებართვო და საგადასახადო შესაბამისობა და ეფექტური რეგულარული კონტროლი. დღეის მდგომარეობით სათამაშო ბიზნესის ინდუსტრიას ჰყავს ტექნიკურად გამართული, მაღალი რეპუტაციის მქონე მარეგულირებელი, რომელიც მიმდინარე რეჟიმში ახორციელებს კონტროლის ელექტრონული სისტემის ოპერირებას.

ამავე დროს, გლობალური ელექტრონული სათამაშო ინდუსტრია სწრაფად ვითარდება და რეპუტაციული ოპერატორები აქტიურად ეძებენ იურისდიქციებს, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგნოზირებად და გამჭვირვალე სანებართვო პროცესებს, ბაზარზე შესვლის სწრაფ მექანიზმებს, პროპორციულ შესაბამისობის მოთხოვნებს და თანამედროვე გადახდის ინსტრუმენტებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა იურისდიქციებში აქტიურად მიმდინარეობს საერთაშორისო ნებართვის და მისი მსგავსი ინსტრუმენტების დანერგვისა და შემოღებისთვის საჭირო ღონისძიებები, რაც თავისთავად წარმოშობს ზემოაღნიშნული რეპუტაციული ოპერატორების ქვეყანაში მოსაზიდად ერთგვარ კონკურენციას საერთაშორისო ბაზარზე, რა დროსაც სწორი და მოქნილი მარეგულირებელი ჩარჩოს დროული შექმნა და მონიტორინგის უმაღლესი სტანდარტის შენარჩუნება საქართველოს დააპოზიციონირებს როგორც ერთ-ერთ ყველაზე მიმზიდველ იურისდიქციას. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს, როგორც ციფრული მმართველობისა და „დიგიტალიზაციის“ რეგიონული ლიდერის არსებობა, საკუთარი მოქნილი საბანკო სისტემითა და ეროვნული ბანკის მიერ გადახდის ალტერნატიული საშუალებების, მათ შორის ციფრული ვალუტისა და ვირტუალური აქტივების მიმართულებით გააქტიურება ქმნის ერთიანი ეკოსისტემის ჩამოყალიბების შესაძლებლობას, რომელშიც საქართველოსთვის ეკონომიკური ეფექტის მიღება არა მხოლოდ შიდა ბაზრის განვითარებით, არამედ საერთაშორისო მომხმარებელზე და კომპანიებზე წვდომითაც შესაძლებელი ხდება.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში უზრუნველყოფილია ზემოხსენებული წინაპირობების უმრავლესობა, არსებული სანებართვო და ოპერირების ჩარჩო ძირითადად ორიენტირებულია შიდა ბაზარზე და არ არსებობს საერთაშორისო ან რეგიონულ ბაზრებზე

ორიენტირებული ელექტრონული სათამაშო ოპერაციებისთვის სპეციალური ნებართვის კატეგორია. შედეგად, საქართველო ვერ ხვდება რეპუტაციული საერთაშორისო ოპერატორების ინტერესის სფეროში და ქვეყანა კარგავს საკუთარი შესაძლებლობების მნიშვნელოვან ნაწილს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი კანონპროექტის მიზანია, ახალი კატეგორიის სანებართვო ჩარჩოს დანერგვის გზით სხვა ქვეყნებში რეგისტრირებული სათამაშო ბიზნესის ოპერატორების საქართველოში ლეგალური შემოსვლით, მათ ინტერნეტ ვებგვერდებზე საქართველოს მოქალაქეების დაშვების ავტომატური აკრძალვა.

სარეგულაციო ჩარჩოს ამგვარი დახვეწა/განვითარება ემსახურება პირველ რიგში საქართველოს მოქალაქეების სათამაშო ინდუსტრიის დამატებითი მავნე ზეგავლენისაგან დაცვას, რაც უშუალოდ გამოიხატება ახალი ნებართვის მფლობელების ვებგვერდებზე საქართველოს მოქალაქეების დაშვებაზე აბსოლუტური აკრძალვის დადგენით, ხოლო მეორე მხრივ ახალი რეგულაცია ხელს უწყობს სათამაშო ბიზნესის მიმართულებით თვისობრივად ახალი ინდუსტრიის შექმნას საქართველოში, მათ შორის მომსახურების სფეროს განვითარების დამატებით სტიმულაციას, რის შედეგადაც მოსალოდნელია შემოსავლების ზრდა.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

ვინაიდან ზემოთ ხსენებული პრობლემის გადასაჭრელად აუცილებელია ახალი კატეგორიის სანებართვო ჩარჩოს შემოღება, რომელიც ხელს შეუწყობს საერთაშორისო ოპერატორების მოზიდვას და საქართველოს მოქალაქეების დაცვას დამატებითი ზეგავლენისგან, აუცილებელია კანონის მიღება, ვინაიდან სათამაშო ბიზნესის სფეროში ახალი კატეგორიის ნებართვების შემოღება შესაძლებელია „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში და სხვა შესაბამის საკანონმდებლო აქტებში სათანადო ცვლილებების შეტანის გზით.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

კანონპროექტის მიღებით შემოღებულ იქნება ახალი კატეგორიის ნებართვები - სისტემურ-ელექტრონული ფორმით სამორინის თამაშობების საერთაშორისო ორგანიზების, სისტემურ-ელექტრონული ფორმით სათამაშო აპარატების თამაშობების საერთაშორისო ორგანიზების და სისტემურ-ელექტრონული ფორმით ტოტალიზატორის თამაშობების საერთაშორისო ორგანიზების ნებართვები, რის შედეგადაც, ერთი მხრივ, გაიზრდება საქართველოში ნებართვის მაძიებელთა რიცხვი, ხოლო მეორე მხრივ - საქართველოს მოქალაქეები დაცული იქნებიან დამატებითი მავნე ზეგავლენისგან, რამდენადაც, საერთაშორისო ორგანიზების ნებართვის მფლობელების მიერ სისტემურ-ელექტრონული ფორმით ორგანიზებულ თამაშობებში მონაწილეობის მიღების უფლება ექნებათ მხოლოდ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს/მოქალაქეობის არმქონე პირებს.

გარდა ზემოხსენებულისა, კანონპროექტის მიღებით საქართველოს შესაძლებლობა მიეცემა ჩამოაყალიბოს სათამაშო ბიზნეს-ინდუსტრიის ახალი მიმართულება, რაც საშუალებას მისცემს დაიკავოს კონკურენტუნარიანი, სანდო და ინოვაციაზე ორიენტირებული

იურისდიქციის პოზიცია, რაც თავის მხრივ, გამოიწვევს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდას, მაღალკვალიფიციური კადრების (მათ შორის საინფორმაციო ტექნოლოგიების, მარკეტინგის, კიბერუსაფრთხოების) ქვეყანაში შემოსვლას, მომსახურების სფეროს განვითარების დამატებით სტიმულაციას და ნებართვის მაძიებლების მიერ გადახდილი მოსაკრებლების და გადასახადების სახელმწიფო ბიუჯეტში აკუმულირებას.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

პროექტის თანახმად, შემოღებულ იქნება ახალი კატეგორიის ნებართვები სათამაშო ბიზნესის სფეროში შემდეგი საქმიანობის სახეებისთვის:

ისტემურ-ელექტრონული ფორმით სამორინის თამაშობების საერთაშორისო ორგანიზება;
ისტემურ-ელექტრონული ფორმით სათამაშო აპარატების თამაშობების საერთაშორისო ორგანიზება;
ისტემურ-ელექტრონული ფორმით ტოტალიზატორის თამაშობების საერთაშორისო ორგანიზება.

ახალი კატეგორიის სანებართვო რეჟიმის დანერგვის მიზნით, ცვლილებები შედის კანონის ტერმინთა განმარტებაში და განიმარტება სისტემურ-ელექტრონული ფორმით აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობების საერთაშორისო ორგანიზება – ამ კანონით დადგენილ მოთხოვნათა დაცვით აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობების ინტერნეტის, ტელეფონის ან/და სპეციალურად მოწყობილი ელექტრონული საშუალებების გამოყენებით გამართვა, სადაც მონაწილეობის მიღება არ არის დასაშვები საქართველოს მოქალაქეებისთვის. ასევე, კანონს ემატება ახალი ტერმინები - სისტემურ-ელექტრონული ფორმით სამორინის თამაშობების საერთაშორისო ორგანიზება, სისტემურ-ელექტრონული ფორმით სათამაშო აპარატების თამაშობების საერთაშორისო ორგანიზება და სისტემურ-ელექტრონული ფორმით ტოტალიზატორის თამაშობების საერთაშორისო ორგანიზება, რომელთა მთავარი მახასიათებელი არის ის, რომ შესაბამის თამაშობაში მონაწილეობის მიღება არ არის დასაშვები საქართველოს მოქალაქეებისთვის.

გარდა იმისა, რომ მხოლოდ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს/მოქალაქეობის არმქონე პირებს შეეძლებათ თამაშობებში მონაწილეობის მიღება, სისტემურ-ელექტრონული ფორმით სამორინის თამაშობების საერთაშორისო ორგანიზების, სისტემურ-ელექტრონული ფორმით სათამაშო აპარატების თამაშობების საერთაშორისო ორგანიზების და სისტემურ-ელექტრონული ფორმით ტოტალიზატორის თამაშობების საერთაშორისო ორგანიზების ნებართვების მაძიებლებზე/მფლობელებზე გავრცელდება იდენტური სანებართვო პირობები და უფლება-მოვალეობები, რაც მოქმედი კანონმდებლობით დაწესებულია სისტემურ-ელექტრონული ფორმით სამორინის თამაშობების ორგანიზების, სისტემურ-ელექტრონული ფორმით სათამაშო აპარატების თამაშობების ორგანიზების და სისტემურ-ელექტრონული ფორმით ტოტალიზატორის თამაშობების ორგანიზების ნებართვების მაძიებლებზე/მფლობელებზე, შესაბამისად, ტერმინოლოგიური ცვლილებები შედის კანონის სათანადო ნორმებში.

ამასთანავე, სანებართვო კონტროლისა და შერჩეული პირის მიერ დანერგილი კონტროლის ელექტრონული სისტემის მოთხოვნები სრულად გავრცელდება ახალი ნებართვის ტიპზე და აღნიშნული ნებართვის მაძიებლებზე, რაც ერთი მხრივ, უზრუნველყოფს მარეგულირებელი ჩარჩოს მთლიანობის შენარჩუნებას და დადგენილი სტანდარტების გამოყენებას, ხოლო მეორე მხრივ შეუნარჩუნებს სახელმწიფოს კონტროლის მაღალ ხარისხს, რაც უზრუნველყოფს რეპუტაციული რისკებისგან დაცულობას და საერთაშორისო ორგანიზაციების, მაგალითად მანივალის (MONEYVAL) მიერ საქართველოსთვის მინიჭებული რეიტინგის როგორც შენარჩუნებას, ისე გაძლიერებას.

კანონის მოქმედი რედაქციით, სისტემურ-ელექტრონული ფორმით სამორინის თამაშობების ორგანიზების, სისტემურ-ელექტრონული ფორმით სათამაშო აპარატების თამაშობების ორგანიზების და სისტემურ-ელექტრონული ფორმით ტოტალიზატორის თამაშობების ორგანიზების 1 ნებართვის საფუძველზე შესაძლებელია არაუმეტეს 2 ინტერნეტდომენის სახელით არსებული ვებგვერდების ორგანიზება. კანონპროექტი ითვალისწინებს ცვლილებას აღნიშნულ ნაწილში და 1 ნებართვის საფუძველზე შესაძლებელი იქნება მხოლოდ 1 ინტერნეტდომენის სახელით არსებული ვებგვერდის ორგანიზება. ამასთან, უკვე გაცემული ნებართვის მფლობელების მიმართ კანონპროექტი ითვალისწინებს გარდამავალ რეგულაციას, რომლის თანახმად, ნებართვის მფლობელებს ნებართვის მოქმედების დარჩენილი ვადით შეეძლებათ 1 ნებართვის ფარგლებში არაუმეტეს 2 ინტერნეტდომენის სახელით ვებგვერდების ორგანიზება, კანონპროექტის ამოქმედებამდე არსებული წესით.

კანონპროექტით გათვალისწინებული ახალი სახის ნებართვების მფლობელებისთვის (სისტემურ-ელექტრონული ფორმით სამორინის თამაშობების საერთაშორისო ორგანიზების, სისტემურ-ელექტრონული ფორმით სათამაშო აპარატების თამაშობების საერთაშორისო ორგანიზების და სისტემურ-ელექტრონული ფორმით ტოტალიზატორის თამაშობების საერთაშორისო ორგანიზების ნებართვების მფლობელები) სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ვადის დარღვევისა და სანებართვო პირობების სხვა დარღვევებისთვის წესდება იდენტური ოდენობის ჯარიმები, რაც გათვალისწინებულია კანონის მოქმედი რედაქციით სისტემურ-ელექტრონული ფორმით სამორინის თამაშობების ორგანიზების, სისტემურ-ელექტრონული ფორმით სათამაშო აპარატების თამაშობების ორგანიზების და სისტემურ-ელექტრონული ფორმით ტოტალიზატორის თამაშობების ორგანიზების ნებართვების მფლობელებისთვის.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

აღნიშნული ქვეპუნქტი არ გამოიყენება წარმოდგენილ კანონპროექტთან მიმართებით (წარმოდგენილი კანონპროექტი არ არის ინიცირებული საქართველოს მთავრობის მიერ).

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში - აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

კანონი ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე, ვინაიდან, მისი ამოქმედებისათვის დამატებითი პირობები ან ვადები არ არის საჭირო და მნიშვნელოვანია მისი დროული ამოქმედება. ამასთან, კანონპროექტი არ ითვალისწინებს კანონისთვის უკუძალის მინიჭებას.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

კანონპროექტი ითვალისწინებს სისტემურ-ელექტრონული ფორმით აზარტული თამაშობების საერთაშორისო ორგანიზატორი პირების და სისტემურ-ელექტრონული ფორმით მომგებიანი თამაშობების საერთაშორისო ორგანიზატორი პირებისთვის ახალი სანებართვო ჩარჩოს დადგენას, რაც ხელს შეუწყობს საერთაშორისო ოპერატორების მოზიდვას. ცვლილება ხელს შეუწყობს საერთაშორისო ოპერატორების მოზიდვას და ამავდროულად უზრუნველყოფს საქართველოს მოქალაქეთა დამატებით დაცვას შესაძლო ზეგავლენებისგან. აღნიშნული თავის მხრივ, დადებით გავლენას მოახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების ზრდაზე. შესაბამისად, მიზანშეწონილია წარმოდგენილი კანონის პროექტი მიღებულ იქნეს მიმდინარე წლის საგაზაფხულო სესიაზე, რა მიზნითაც მოთხოვნილია მისი დაჩქარებული წესით განხილვა.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება მოხდება შემოსავლების სამსახურის შესაბამისი წლის ბიუჯეტის, არსებული ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ფარგლებში.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება იქონიებს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე ზრდის მიმართულებით, ვინაიდან პროექტით ცალკე ნებართვის გაცემას დაექვემდებარება სისტემურ-ელექტრონული ფორმით სამორინის თამაშობების საერთაშორისო ორგანიზება, სისტემურ-ელექტრონული ფორმით სათამაშო აპარატების თამაშობების საერთაშორისო ორგანიზება და სისტემურ-ელექტრონული ფორმით ტოტალიზატორის თამაშობების საერთაშორისო ორგანიზება, რისთვისაც წესდება სანებართვო მოსაკრებელი, თითოეული სახის ნებართვისთვის (რომელიც გაიცემა 5 წლის ვადით), ყოველწლიურად, წელიწადში 100 000 ლარის ოდენობით. ვინაიდან დგინდება ახალი ტიპის ნებართვა, ბიუჯეტი მიიღებს დამატებით შესავლებს, რაც კანონის მიღებამდე

არ არსებობდა. გავლენის ოდენობა დამოკიდებული იქნება გაცემული ნებართვების რაოდენობაზე.

დამატებით, ნებართვის მფლობელებისთვის დადგენილია მოგების გადასახადი, რომელიც შეადგენს მიღებულ ფსონებსა და გაცემულ მოგებას შორის სხვაობის 5%-ს ყოველთვიურად. ამ გადასახადით საბიუჯეტო შემოსავლები დამოკიდებულია ნებართვის მფლობელთა რაოდენობაზე.

ნებართვის მფლობელების მიერ კვალიფიციური კადრების ქვეყანაში შემოსვლამ შესაძლოა დამატებით გამოიწვიოს საშემოსავლო გადასახადის გაზრდა, თუმცა მისი ოდენობა და მოცულობა დამოკიდებული იქნება ნებართვის მფლობელების ბიზნეს გეგმაზე.

გარდა ზემოხსენებულისა, კანონპროექტი ითვალისწინებს ჯარიმების დაწესებას 20 000 ლარის ოდენობით, სისტემურ-ელექტრონული ფორმით სამორინის თამაშობების საერთაშორისო ორგანიზების, სისტემურ-ელექტრონული ფორმით სათამაშო აპარატების თამაშობების საერთაშორისო ორგანიზების და სისტემურ-ელექტრონული ფორმით ტოტალიზატორის თამაშობების საერთაშორისო ორგანიზების ნებართვების მფლობელებისთვის, სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ვადის დარღვევისა და სანებართვო პირობების სხვა დარღვევის შემთხვევაში, რაც ასევე იქონიებს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე ზრდის მიმართულებით. გავლენის ოდენობა დამოკიდებული იქნება სანებართვო პირობების დარღვევის რაოდენობაზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღების შემდეგ ნებართვის მფლობელების ზრდის შემთხვევაში, მათ მიმართ ადმინისტრაციული საქმიანობის შედეგად გაზრდილი დამატებითი ხარჯები დაფინანსდება შემოსავლების სამსახურის არსებული რესურსის ფარგლებში.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

კანონპროექტის მიღება სახელმწიფოს მხრიდან ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას არ ითვალისწინებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

არსებული საკანონმდებლო რეგულაციით ნებართვა გაიცემა მხოლოდ საქართველოში რეგისტრირებულ მეწარმეზე. აღნიშნულიდან გამომდიანრე, კანონპროექტის მიღება გავლენას იქონიებს იმ პირების ფინანსურ მდგომარეობაზე, რომელთა მიმართაც ვრცელდება მისი მოქმედება. კერძოდ, იმ პირების ფინანსურ მდგომარეობაზე, რომლებიც

ამ კანონის ამოქმედების შემდგომ მიმართავენ სსიპ - შემოსავლების სამსახურს სისტემურ-ელექტრონული ფორმით სამორინის თამაშობების საერთაშორისო ორგანიზების, სისტემურ-ელექტრონული ფორმით სათამაშო აპარატების თამაშობების საერთაშორისო ორგანიზების ან/და სისტემურ-ელექტრონული ფორმით ტოტალიზატორის თამაშობების საერთაშორისო ორგანიზების ნებართვების ასაღებად (რომელიც გაიცემა 5 წლის ვადით). თითოეული ნებართვისთვის „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულია სანებართვო მოსაკრებელი ყოველწლიურად, წელიწადში 100 000 ლარის ოდენობით.

ახალი ნებართვის ფარგლებში საქართველოს მოქალაქეებისთვის დაუშვებელი იქნება სისტემურ-ელექტრონული ფორმით ორგანიზებულ აზარტულ ან/და მომგებიან თამაშობებში მონაწილეობა, რაც გამორიცხავს საქართველოს მოქალაქეების კუთვნილი ფულადი სახსრების ხარჯვას აზარტულ ან/და მომგებიან თამაშობაში მონაწილებისას ახალი ნებართვის მფლობელების მიერ ორგანიზებულ თამაშობებში.

ნებართვის მაძიებლები გაივლიან ტექნიკურ აუდიტსა და ინტეგრაციის პროცედურებს შერჩეულ პირთან, რაც გულისხმობს მათ მიერ შერჩეული პირისთვის კანონმდებლობით განსაზღვრული მომსახურების საფასურის გადახდას.

1 დომეინის განსაზღვრის ნაწილში ნებართვის მფლობელებს არ წარმოეშვებათ დამატებითი ხარჯები, ვინაიდან ვებ-გვერდის არსებობის გარეშე შეუძლებელია საქმიანობის არსებობაც. რაც შეეხება გარდამავალ პერიოდში 2 დომენიდან ერთ დომენზე დაბრუნებას, იგი შეამცირებს საოპერაციო ხარჯებს, კერძოდ ჰოსტინგისა და ინტერნეტსერვისებთან დაკავშირებულ დანახარჯებს იმ ნებართვის მფლობელებისთვის, რომლებსაც 2 დომენი ჰქონდათ.

გარდა ზემოხსენებულისა, კანონპროექტის მიღება გავლენას მოახდენს სისტემურ-ელექტრონული ფორმით სამორინის თამაშობების საერთაშორისო ორგანიზების, სისტემურ-ელექტრონული ფორმით სათამაშო აპარატების თამაშობების საერთაშორისო ორგანიზების ან/და სისტემურ-ელექტრონული ფორმით ტოტალიზატორის თამაშობების საერთაშორისო ორგანიზების ნებართვების მფლობელი პირების ფინანსურ მდგომარეობაზე, რომლებიც დაარღვევენ სანებართვო მოსაკრების გადახდის ვადას ან სხვა სანებართვო პირობებს. აღნიშნული დარღვევებისთვის, თითოეული ნებართვის მფლობელისთვის გათვალისწინებულია ჯარიმა 20 000 ლარის ოდენობით. კერძოდ, „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ კანონპროექტის თანახმად, აღნიშნული კანონის 37^1 მუხლს ემატება „უ“ ქვეპუნქტი და სანებართვო პირობების შეუსრულებლობისათვის ჯარიმის ოდენობა სისტემურ-ელექტრონული ფორმით სამორინის თამაშობების საერთაშორისო ორგანიზების ნებართვის, სისტემურ-ელექტრონული ფორმით სათამაშო აპარატების თამაშობების საერთაშორისო ორგანიზების ნებართვის და სისტემურ-ელექტრონული ფორმით ტოტალიზატორის თამაშობების საერთაშორისო ორგანიზების ნებართვის მფლობელთა მიმართ შეადგენს 20 000 ლარს, აღნიშნული ჯარიმის სამმაგი ოდენობა კი - 60 000 ლარს.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

პროექტით გათვალისწინებულია ახალი სახის ნებართვების შემოღება, კერძოდ, სისტემურ-ელექტრონული ფორმით სამორინეს თამაშობების საერთაშორისო ორგანიზების ნებართვა, სისტემურ-ელექტრონული ფორმით სათამაშო აპარატის თამაშობების საერთაშორისო ორგანიზების ნებართვა და სისტემურ-ელექტრონული ფორმით ტოტალიზატორის თამაშობების საერთაშორისო ორგანიზების ნებართვა, რომლებისთვისაც „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" თანმდევი კანონპროექტით გათვალისწინებულია შესაბამისი სანებართვო მოსაკრებელი - თოთოეული სახეობის ნებართვისთვის წელიწადში 100 000 ლარის ოდენობით. სანებართვო მოსაკრებლის ოდენობა იდენტურია სისტემურ-ელექტრონული ფორმით ორგანიზებული აზარტულია ან/და მომგებიანი თამაშობებისთვის გათვალისწინებული მოსაკრებლისა, რომლის ნებართვაც გაიცემა ფიზიკურად მოწყობილი ობიექტების შემთხვევაში.

ასევე, კანონპროექტი ითვალისწინებს ჯარიმების დაწესებას 20 000 ლარის ოდენობით, სისტემურ-ელექტრონული ფორმით სამორინის თამაშობების საერთაშორისო ორგანიზების, სისტემურ-ელექტრონული ფორმით სათამაშო აპარატების თამაშობების საერთაშორისო ორგანიზების და სისტემურ-ელექტრონული ფორმით ტოტალიზატორის თამაშობების საერთაშორისო ორგანიზების ნებართვების მფლობელებისთვის, სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ვადის დარღვევისა და სანებართვო პირობების სხვა დარღვევის შემთხვევაში.

ბ[1]) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება:

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს ზეგავლენას ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

ბ[2]) ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე კანონპროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება:

კანონპროექტს არ აქვს მოსალოდნელი ზეგავლენა ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, - მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს. აგრეთვე, კანონპროექტი არ უკავშირდება რომელიმე ხელშეკრულებას/შეთანხმებას.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა)სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

ასეთი მიმოხილვა არ მომზადებულა.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები: შოთა ბერეკაშვილი, გიორგი ბარვენაშვილი, თორნიკე ბერეკაშვილი, ანტონ ობოლაშვილი და მარიამ ლაშხი.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები: შოთა ბერეკაშვილი, გიორგი ბარვენაშვილი, თორნიკე ბერეკაშვილი, ანტონ ობოლაშვილი და მარიამ ლაშხი.